

კეთილშობილური ქაჯა საფოსტო

წასი 1 ლარი №13 7 - 14 მაისი 2018 წელი ბათუმის სამშაბათობი

**ფოტოში
ინფრასტრუქტურული
პროექტები
ხორციელდება...**

33. 3


**„მეგონა,
ჩაშვების
ინსტიტუტი წინა
საუკუნის
37-იან
წლებში ღარჩა,,
ბადაჩევიანი თუ არა
ქართული მხეველები
მონევენ**

33. 3

**„არა ჯარიმის
შეშით, არამედ
შინაგანად
უნდა
მოვინსკრიბდეთ,,**

33. 4

**შენ ჯერ ებ არ
ბინახავს?**



ამ გვიკონი ჩვენ
www.msnews.ge

**მოაგვარებს თუ არა
ქაღლები „დაბირკვა,,
პრობლემას**



**ივანა პაჩკორია
ფოტო**

რამდენიმე დღის წინ, აღმაშენებლის ხიდზე გადასვლი-
სას, შევესწარი შემდეგ ფაქტს - რამდენიმე ძაღლი მთე-
ლი სისწრაფით მორბოდა ხიდის ტროტუარზე, წინ მო-
მავალ ქალს დაეჯახნენ და წააქციეს. საბედნიეროდ,
ქაღლები არ დაშავებულა. თუმცა, სხვა შემთხვევაში
როგორ დამთავრდება ქაღაქში მაწანწალა ძაღლების
სეირნობა, ვერაფერს ვათვლის.
მაწანწალა ძაღლების რაოდენობა ფოთში კატასტრო-
ფულად იზრდება. გარდა დაქენისა და მოსახლეობის
შეშისა, ხშირად მაწანწალა ძაღლები სხვადასხვა ინ-
ფექციური დაავადების გამავრცელებლებიც ხდებიან. ყვე-
ლა ეთანხმება მოსახრებას, რომ აუცილებელია ქაღაქი
გაიწმენდოს მაწანწალა ძაღლებისაგან, მაგრამ დახოცვა
არაპრობლემურია და შეუძლებელია, მათი მოვლა-პატრო-
ნობა კი ძნელი. მოსახლეობის უმრავლესობა ძაღლე-
ბის ლიკვიდაციის ან მათი თავშესაფარში მოთავსების
მომხრეა. წლიდან წლამდე ადგილობრივი ხელისუფლე-

ბის წარმომადგენლებისაგან უცვლელად ისმის, რომ
მათ ამ ეტაპზე თავშესაფარის აშენების შესაძლებლობა
არ აქვთ. ძაღლებისადმი არაპრობლემურ მოპყრობას ცხო-
ველთა დაცვის საზოგადოება ეწინააღმდეგება. დღეისათ-
ვის გამოვლენილია რამდენჯერმე ჩაშლილი ტენდერის
გამარჯვებული, ინდემწარმე გიორგი მაღლაფერიძე. ხელ-
შეკრულების თანახმად, ტენდერში გამარჯვებულმა ერთი
წლის განმავლობაში უნდა მოახერხოს 362 ძაღლის
დაჭერა, თუმცა, მაწანწალა ძაღლების რაოდენობა გაცი-
ვებით მეტია. დაჭერის შემდეგ ძაღლებს აუცილებს და-
ვალების შემთხვევაში, კი გათვალისწინებულია ევთანაზა-
ცია და ეგრეთწოდებულ „ბეიკერის ორმოში“ დამარხვა,
ჯანმრთელი ძაღლი კი აყვანის ადგილზე დაბრუნდება.
სამუშაოებისათვის გამოყოფილია 29 987 ათასი ლარი
დღე ჩათვლით.

მოსახლეობა საკმაოდ კრიტიკულად შეხვდა ძაღლების
უკან, ისევე ქაღაქში დაბრუნებას. მაკა ბელქანიას აზრით:
„კარგია, თუ ამ ძაღლების კასტრაცია მოხდება, მაგრამ

დასასრული 2-33.

**ჭირისუფლები
სასაფლაოებზე
წყალს და
საკირფარეუმოს
ითხოვენ**

33. 5

**ბანათლების
ეროვნული
ცენტრის
საგანგაშო
მარკენაზელი**

33. 7

„არა ჯარიმის შიშით, არამედ შინაგანად უნდა მოვნესრიბდეთ,,

თქალა მამაკაია ფოთი

ამ თემაზე მუშაობის სურვილი მას შემდეგ გამიზნდა, როცა რამდენიმე ლოკაციაზე ვისარგებლე ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელით ქალაქის მასშტაბით. პირად დაკვირვებას მოვახსენებთ - თითქმის არც ერთ გადასასვლელზე არ დამითმეს გზა მძღოლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ვალდებულება აქვთ კანონით. გადავწყვიტე ჩამეტარებინა ექსპერიმენტი და მეორე დღიდან დავიწყე შეგნებულო, გამიზნული ქმედება. ექსპერიმენტმა ზოგან გაამართლა იმ კუთხით, რომ ავტომანქანების მძღოლებმა „ზებრა“ გამოვირეს“ და გზა დამითმეს. იყო შემთხვევაც, წინ მომავალმა მანქანის მძღოლმა შეანერა სვლა, სამაგიეროდ მის უკან მომავალი ავტომანქანამ ღამის შემწირა ექსპერიმენტს. იყვნენ კეთილსინდისიერი მძღოლებიც, რომლებმაც დამითმეს ჩემთვის, როგორც ქვეითად მოსიარულესათვის, კუთხილი გზა.



გადასასვლელით, თუ ის ქალაქში არსებობს, ან ქვეითთა ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელით. სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ, ქვეითთა შეჯახება ავტო-ვარიების ყველაზე გავრცელებული ტიპია. რატომაც ყველა ფიქრობს, რომ საგზაო მოძრაობის მოწესრიგება მხოლოდ რომელიმე ინსტიტუტის მოსაგვარებელი საქმეა. საჭიროა, ერთობლივად, კოორდინირებული მუშაობა სამთავრობო და არა-სამთავრობო სექტორს შორის. უნდა იყოს გამართული გზები და მოწესრიგებული მოძრაობის სისტემა. ოპერატიული მუშაობა უნდა მოხდეს საპატრულო პოლიციის მხრიდან.

დავინტერესდით, რას ფიქრობს საპატრულო პოლიცია ფოთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მათთან კომუნიკაცია ვერ მოვახერხეთ. ავტოვარიებში ქვეითად მოსიარულე ადამიანების გარდაცვალების ანაც ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევები ქვეყანაში ძალიან ბევრია. არა ერთი კამპანია ჩატარდა, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდანაც, რომელიც მოიცავდა სხვასახე რევიონში ზებრა გადასასვლელის მოხატვას, რომელსაც ფოთიც შეუერთდა. მოხატა 4 გადასასვლელი „ზებრა“ გადასასვლელზე მსს კამპანიის სლოგანები, საგზაო ნიშნები და სხვადასხვა ფიგურები იყო გამოსახული.

საინტერესოა მოსახლეობის აზრი, რამდენად გულსხმიური არიან ფოთში მოსიარულე ავტომანქანების მძღოლები ქვეითად მოსიარულეთა მიმართ. თემურ ლავგილავა - „ამ ბოლო დროს შევამჩნიე, თითქოს ამ ხრივ გამოსწორდა მდგომარეობა. უმეტეს შემთხვევაში, მძღოლები გზას მითმობენ. ალბათ ეს განაპირობა ჯარიმის შემოღე-

ბამ. მისხალმებელია, თუ ჩვენი საზოგადოება ცივილურ კულტურას შეითვისებს“.

ზევილი კვერნაძე - „როგორი დროული კითხვაა. თითქოს „ჩემს გულში იჯექით“, ორი დღის წინ აღმაშენებლის ქუნაზე გადავიდოდი. ვიფიქრე - მოდი, ვისარგებლებ „ზებრა“ გადასასვლელით-მეთქი. ვაღიარებ, პირველად მივიღე ეს გადაწყვეტილება. გადავიდოდი და ამ დროს ისეთი სიჩქარით წამოვიდა მანქანა, ღამის ადგილზე დამავლო. რა გზის დათმობაზეა საუბარია ამის შემდეგ? ასეთი ადამიანებისთვის არც კანონი და არც ჯარიმა ჭირს. ისე კი, არა ჯარიმის შიშით, არამედ შინაგანად უნდა მოწესრიგდეთ, დროა უკვე“.

ანა დეკანოიძე - „ვეცილობ, ყოველთვის კანონმორჩილად ვიცხოვრებ. ელემენტარულად არ შემიძლია, როდესაც ადამიანები გულგრილნი არიან კანონის ნიშნად. არ მიყვარს წესების დარღვევა, ამიტომ წესების დამრღვევი ადამიანები ძალიან მალეზიანებს. უსაფრთხო გადასასვლელით გსარგებლობ, რომელიც განკუთვნილია ფეხით მოსიარულეთათვის, ზოგჯერ მითმობენ, ზოგჯერ არა. ალბათ დაიხვეწება მდგომარეობა იქვე მხრიდან, დრო უნდა“.

ირინა კახიაშვილი - „შეძლებიანდაგვარად, ვეცილობ ვისარგებლო „ზებრა“ გადასასვლელით, თუმცა, რა აზრი აქვს, არ თმობს მძღოლი გზას. კი ვეცილობ, ჯიუტად ვავიარო, მაგრამ რეალურად ერთია - ქართველები ვერ ვგუგუებით კანონის მორჩილებას“.

არსებული პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია მოქალაქეზე, რომელიც პასუხისმგებლობით მოეკიდება თავის მოქალაქეობრივ ვალს და კანონმორჩილი გახდება.

ფოთში ინფრასტრუქტურული პროექტები სორსიულდება (?).

დასაწყისი 3-33.

გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა - აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული ფილიალის მშენებლობა, რომელიც დასრულების ფაზაშია. ეს არის 7 ბრივადზე გათვლილი ცენტრი შესაბამისი სტანდარტებით და თანამედროვე ტექნიკით. პროექტის ღირებულებაა 339 000 ლარი.

კოლხეთის ეროვნული სტადიონის რეაბილიტაცია - ფეხბურთის ფედერაციამ გამოვიგზავნა წერილი და გეთხოვა, გაგვეთვალისწინებინა მათი შენიშვნები და შევას სტანდარტების მიხედვით გაკეთებულიყო ჩვენი სტადიონი. არსებული პროექტი შევას სტანდარტის პირველ კატეგორიას აკმაყოფილებდა, რაც გულისხმობს საერთაშორისო მატჩებს და ეროვნული ნაკრებების ამხანაგურ თამაშებს. იყო იმის საშუალება ამის გათვალისწინებით გაგვეზარდა კატეგორია პირველიდან მეორემდე, რომ საერთაშორისო თამაშებს უმასპინძლოს სტადიონმა. მათი მოთხოვნები გავითვალისწინეთ და მივმართეთ საპროექტოს ცვლილებებისათვის. პროექტის კორექტირებამ გამოიწვია სამუშაოების დროებით შეჩერება. ამჟამად სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს და დასრულდება აგვისტოს დასაწყისამდე - ეს არის სამუშაოს პირველი ეტაპი, მეორე ეტაპის დაწყება იგეგმება ორი კვირის შემდეგ, რაც ითვალისწინებს ჩასწორებული ხარჯთაღრიცხვით პროექტის განხორციელებას, რომელიც დააკმაყოფილებს შევას სტანდარტებს. მეორე ტენდერსაც გამოვაცხადებთ. მეორე ეტაპი არის გარდამავალი ეტაპი, სამივე ტრიბუნის მშენებლობას დაახლოებით ორი წელი დასჭირდება. თამაშს ფეხბურთელები შეძლებენ ეროვნული ჩემპიონატის შე-

სამე წრის პერიოდში აგვისტოს დასაწყისში. მინდორი დღესაც უნდა იყოს დაგებული. არ მინდა მოგატყუოთ, დღეს არ ვყოფილვარ გასული და არ ვიცი, რა ხდება. ბალახის საფარს ფეხბურთის ფედერაცია აგებს, ჩამოსული იყო კობიაშვილი და პირადად დაგვიპირდა.

-სამომავლოდ კი სტრანსპორტო ხიდის მშენებლობა იგეგმება, რომელიც მეშვიდე კილომეტრის ხიდსა და სალიანდაგო ხაზს შორის გაივლის. ამ საქმიანობას აწარმოებს საგზაო დეპარტამენტი, რომელიც გეგმავს ქართულს უნდა შეუერთდეს სუფსის მაგისტრალს, ეს ხიდი და მაგისტრალი ერთდროულად იქნება დაკავშირებული ერთმანეთთან. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება და წლის ბოლოდან დაიწყება სამუშაოები, ან შესაძლებელია მომავალი წლის დასაწყისიდან. ამჟამად მიმდინარეობს გეოლომარგეოური დასკვნების გაკეთება, მოწმდება გრუნტის მდგომარეობა, სწავლობენ ამ მიმართულებით. ასევე, მუშაობენ ხიდის ხარჯაღრიცხვაზე. როგორც კი შედგება ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, ტენდერი გამოცხადდება. შესაბამისად გამარჯვებული გამოვლინდება. ეს ტექნიკური სამუშაოები როდემდე გასტანს, ჩვენზე არაა დამოკიდებული და არც ვიცი. კონკრეტულად, სად გაივლის ეს გზა, გადაწყვეტილი არ არის. სამუშაოებს, ეს ინფორმაცია არ მქვს. არსებობს ვარაუდი, რომ გაივლის კოლინმარის კუნძულის მიმდებარედ. თუმცა, ის მოსაზრება, რომ თითქოს შუაში გაივლის და გახლიჩავს კუნძულის, ეგ მართალი არაა. საპროექტო დავალებები გვაქვს გამოცხადებული. 20 მაისს უნდა მოგვაცოდოს გამარჯვებულმა პროექტანტმა უპოვართა სასაბაღლოს კაპიტალური რემონტის პროექტიც, ცოტნე დალიანის მოედნის განათება და მალთაყვის უბანში დიდების მემორიალის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

„ვეგონა, ჩაშვების ინსტიტუტი წინა საუკუნის 37-იან წლებში ღარჩა,,

ბადაჩივევიან თუ არა ქართული მნაველები მონეპას

დასაწყისი 3-33.

მაგრამ საზოგადოება მიეჩვენა და მიიღებს ამ წესაც. გიორგის კი აინტერესებს, ვინ გააკონტროლებს სადარბაზოებს, ლიფტებს თუ კიბის უჯრედებს: „თუ ისედაც გაჭირვებულ ხალხს კიდევ ახალი ჯარიმები და კიდევ უბრესი - ჩაშვება ვასწავლოთ?“ ნინო თვლის, რომ ახალი ჯარიმები მხოლოდ ბიუჯეტის როგორმე შესავსებად დასჭირდათ: „როგორც ჩანს, ფული შემოაკლდათ. სივარეტის მოწვევას კრძალივვენ და მარიხუანას ლეგალიზაციას ახდენენ, „რეინის ლოგოკა“ აქვთ - სივარეტს თავი დაანებეთ და მარიხუანაზე გადადითო. ვაი, ჩვენს პატრონს“. რაც შეეხება საჯარო სამსახურებს. აქ კანონის

კონტროლის მექანიზმებს განახორციელებენ თანამშრომლები - მერიის სამსახურებში შიდა ბრძანებით აკონტროლებს ლევან კუხალაშვილი, რომელიც აქტიური მწვევლია, მაგრამ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ იმედოვნებს აქვს ჯანსაღ ცხოვრებას და უბრუნდება: „ყველა თანამშრომელი გაფრთხილებულია სასტიკად და ყველა ცდილობს შენობის გარეთ გავიდეს და იქ მოწიოს. ჯერჯერობით დარღვევის შემთხვევა არ ყოფილა, ყველა თავს იკავებს. ამ კანონის შემდეგ ყველა ცდილობს, ნაკლებად მოწიოს. გამოვლენის შემთხვევაში, გაეფრთხილებო, ხოლო მეორე შემთხვევაში საპატრულო პოლიციას გამოვიძახებთ“. სივარეტის მოწვევასთან

დაკავშირებული რეგულაციების ამოქმედებამ ურნების რაოდენობის გაზრდის მოთხოვნებიც წარმოშვა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სამსახურის თანამშრომლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სამსახურის წინ სპეციალური ურნის არქონის გამო, კუხალაშვილისათვის გაუგებარი აღმოჩნდა ურნების სიმცირე: „ყველა სამსახურის წინ დგას ურნა და თუ სპეციალური ურნა არ არის, ნაგვის ურნები ხომ დგას. ვისაც არ უნდა ქალაქის დანაგვიანება, კეთილი ინებოს, რამდენიმე მეტრი წაიწიოს და იქ ჩააგდოს ნაწივი“.

სასტუმრო „ფაზისის“ დირექტორი ნატო ადამიას თქმით, კანონის ძალაში შესვლისთანავე, გამაფრთხილებელი აბრები განთავსდა ყველგან: „მაგალითად წუხელ უცხოელები გაბრძანდნენ გარეთ და იქ მოწიეს. ჯერჯერობით ემორჩილებიან. ადრე ყველგან რომ ყრიდნენ, დღეს უკვე გათავისებულნი აქვთ, რომ ნამწვი ურნაში ჩააგდონ. ეს კულტურა ბავშვობიდან უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გარემოს დაბინძურება არ შეიძლება და მოწვევას ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯობია“.

კაფეებისა და რესტორნების მეპატრონეების თქმით, ჯერჯერობით დადარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. როგორ მოახერხებენ შეზარხოშებულ მწვევლებს მამაკაცები თავის შეკავებას და რამდენიმე გამამდიდრებენ ბიუჯეტს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჭირისუფლები სასაფლაოებზე წყალს და საპირფარეოს ითვისებენ

ივანე პაპორია ფოთი

რედაქციაში შემოსულ წერილში ადრესატი გვთხოვდა გაგვეხსენებინა ეურადღება სასაფლაოების თემაზე, კერძოდ, სასაფლაოზე წყლის შეყვანასა და საპირფარეოების მოწყობაზე. „წყალი სახლიდან ბიდონებით დაგვაქვს, რაც ძალიან რთულია. სასაფლაოზე ან მის მიმდებარედ არ არის საპირფარეო, რაც დისკომფორტს ქმნის, როგორც ჭირისუფლებისათვის ასევე მუშა პერსონალისათვის“ - ეს გახლავთ ამონარიდი წერილიდან. ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენებინა, იგვეჩვენებოდა თუ არა აღნიშნული პრობლემის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნული პრობლემა დიმიტრის-მომგერელი აღმოჩნდა ბევრისთვის. კონკრეტულ პრობლემაზე სასაუბროდ მისულებს საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგვხვდა. ყველაზე მტკივნეული ადამიანების გულგრილობა აღმოჩნდა. რა საპირფარეოებზეა საუბარი, როდესაც მოსახლეობა სასაფლაოებზე, სადაც მათი მიცვალებულების საფლავებია, ღორებს და ძროხებს უშვებენ საბაღასოდ. რაზე უნდა ვისაუბროთ მაშინ, როდესაც ჭირისუფალი თავის მიცვალებულს სარეველა ბაღასისგან გაწმენდას და მკვობლის გაწმენდას საფლავის წინ დაყრის.

ა(ი)პი სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უფროს გია ლიფონავას თქმით, ყველა სასაფლაოებამდე

სასმელი წყალი მიყვანილია. მისი გაოცება კი გამოიწვია იმან, რომ უამრავი პრობლემის მოგვარების მიუხედავად, გაწვეულ სამუშაოებს არავინ აფასებს: „გაკეთებულ საქმეებს არავინ ხედავს. გავწმინდეთ ათეული წლების განმავლობაში მიტოვებული საფლავები, 100 კბ მიწა მოვიტანეთ მალთაყვანაში და დაჭაობებული ადგილები ამოვავსეთ, ნინოშვილის სასაფლაოზე წლების განმავლობაში შეუძლებელი იყო უკანა მხარეს მისვლა, რადგან ჩასახველი არ ქონდა, ვიქირავეთ ტრაქტორი, სამი დღე მუშაობდა და მანქანას მორაობა რომ შეძლებოდა, ისე გავაკეთეთ. ყოველივე ჩვენი სახსრებით გავაკეთეთ, არავინ შეგვიწუხებია. მოხდა მალთაყვის სასაფლაოს განათება. ამდენი ვიშრომით, არავის შეუშინებია და საპირფარეო რომ არ არის ეს ახლა შეაძნელებს? ეს საკითხი ყველაზე მეტად ჩვენ გვაწუხებს, რადგან იქ ჩვენი თანამშრომლები მუშაობენ და ახლომდებარე სახლებში დადიან. სასაფლაოს შიგნით საპირფარეოს ხომ ვერ ავაშენებ, სასაფლაოების მიმდებარედ, ქალაქმა უნდა გამოიყოს ტერიტორია და ააშენოს. სასაფლაოს გარეთ აშენების უფლება ჩვენ არ გვაქვს. ჩვენთვის ამჟამად ყველაზე დიდი პრობლემა ნინოშვილის სასაფლაოზე მდგარი გამხმარი ხეებია, რომელიც ძლიერი ქარის შემთხვევაში გადატყდება და ათეულობით საფლავი დაზიანდება. ტექნიკა ვერ მიდის, ხელით კი ჩვენ ვერ მოვკრით, ეს უნდა გააკეთოს სპეციალისტმა,

რომელიც აიღებს ვალდებულებას საფლავების დაზიანების შემთხვევაში თავად იქნება პასუხისმგებელი“. როგორც გაირკვა ერთი ხის მოჭრა შეიძლება 2000-2500 ლარიც კი დაჯდეს.

არსებული ხუთი სასაფლაოდან სამი უკვე დახურულია. დახურვა ელოდება მალთაყვის სასაფლაოსაც. ლიფონავას თქმით, არის შესაძლებლობა, გადიდეს მალთაყვის სასაფლაო იქვე მდებარე ტერიტორიის ხარჯზე. მერიაშიც გვითხრეს, რომ მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე და საგარეოდ, ალტერნატიული ადგილი მოიძებნება და არა, სასაფლაოზე არსებული ტერიტორიის მიერთება. კუნძულის სასაფლაოზე კი საამქროს მხრიდან ღობე არ აქვს.

რაც შეეხება წყლის მიწოდებას, ლიფონავას თქმით, სასმელი წყალი ყველა სასაფლაოს შესასვლელამდეა მიყვანილი. შიგნით კი წყლის შეყვანა სასაფლაოების განლაგების გამო ვერ ხერხდება. ვიცე მერ ირაკლი თოფურიას თქმით, საპირფარეოების საკითხი ქალაქისთვისაც მტკივნეულია: „ქალაქში არ გვაქვს საზოგადოებრივი საპირფარეოები და ახლა მიმდინარეობს საუბარი ტურისტულ ზონებში განთავსდეს მინიმუმ 20 საპირფარეო. რაც შეეხება წყალს, რამდენადაც ვიცო, წყალი ყველაგანაა და თითოეულ საფლავთან ვერ მოხდება წყლის მიყვანა“.

მოსახლეობა რას ფიქრობს აღნიშნულ თემაზე?

დათო - „სხვაგან არ ვიცი, მაგრამ



სადაც ჩემი მიცვალებულები ასვენია, იქ წყალი შესასვლელ კართან არის. ჩვენი საფლავი ბოლოშია, ამიტომ აქედან ვეზიდები. რაც შეეხება საპირფარეოს, არ დაფიქრებულვარ ამ თემაზე. ისე არ ვიქნები მომხრე, შიგნით გაკეთდეს, გარეთ თუ გაკეთდა, ვინ მოვლის? ერთ თვეში ახლოს ვერ გაივლი“.

ლილი - „ფოთში იმხელა სასაფლაოებია, შუა ადგილასაც თუ იქნება ცუდი არ გამოვა, მე უკანა კარიდან შევიღვარ, ამიტომ წყალი სახლიდან დამაქვს, ასე უფრო მოსახერხებელია. საპირფარეოში კი აუცილებელია, ადგომას იქნება თუ რამე სხვა შემთხვევაში ადამიანები სად უნდა წავიდნენ? ეს ბუნებრივი მოთხოვნაა და ხომ ვერ დააპროგრამებ ადამიანს? სადმე კუთხეში ნამდვილად უნდა იყოს საზოგადოებრივი საპირფარეო“.

მზია - „სასაფლაოზე კი არა ქალაქში ვერ იპოვი ვერსად საპირფარეოს, სასაფლაოს ვინ ჩივის. ტურისტებს ველოდებითო და სად მიყავთ მერე ეს ხალხი? ალბათ პამპერსებს დაურიგებენ“.

ფოთის პედაგოგთა პროფკავშირის თავმჯდომარე მერაბ პაღით აირჩიეს

დასაწყისი 2-33.

სხვადასხვა საგანში (დაწვებითი და მაღალი კლასის მათემატიკა - ქართული, უნაბრე, ქიმიკა და გაკვეთილის დაგეგმვა) გადამზადა 600-მდე პედაგოგი.

-საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფკავშირის როლის, შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების, სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფისათვის, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელშეწყობით, ჩატარდა 4 სემინარი, რომელსაც 82 აღმზრდელი და პედაგოგი ესწრებოდა.

-ჩატარდა ტრენინგი სკოლამდელ დაწესებულებების 90 აღმზრდელისთვის „სკოლამდელ ბავშვთა, ფსიქოლოგია და ინკლუზიური განათლება, აუტიზმი“

-ჩატარდა ტრენინგი „სასკოლო მზაობაში“ სკოლამდელ დაწესებულებების 120 აღმზრდელისთვის

-ჩატარდა ტრენინგი სანიტარიის, პიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის დაცვის საკითხებში სკოლამდელ დაწესებულების 70 წევრისთვის (გამგე, ექთანი, მნე, მზარეული და მზარეულის თანაშემწე). პარალელურად ტარდებოდა სხვადასხვა კულტურული თუ წამახალისებელი ღონისძიებები. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა 38 პედაგოგი და 44 აღმზრდელი; ჩატარდა საახალწლო საღამო, რომელსაც 150 პედაგოგი და აღმზრდელი ესწრებოდა; დაჯილდოვდა თბილისში ჩატარებულ ფესტივალში „სასკოლო თეატრალური ფესტივალი - 2017“ აქტიური მონაწილეობისთვის სამი სკოლა (1,2 და 8); ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყოველწლიურად დარიგდა მოკრძალებული საჩუქრები თითოეული წევრი ქალბატონისთვის; ორჯერ სხვადასხვა

მარშრუტით ექსკურსიაც მოეწყო, რომელშიც 120 წევრი მონაწილეობდა; ექსკურსიისთვის ფინანსური დახმარება გაიცა ორი სკოლისა და სამი ბაღისთვის.

ანგარიშში ასევე ნათქვამი იყო იმ ფინანსურ დახმარებებზე, რომელიც გაეწია წევრებს: ფინანსური დახმარება გაეწია 25 წევრს, ასევე წევრებმა ისარგებლეს შეღავათიან ფასებში საზოგადოებრივი დასვენების პაკეტით სხვადასხვა კურორტზე, ხოლო იურიდიული უფასო კონსულტაციითა და დახმარებით ისარგებლეს წევრებმა. ყველაფერი ხეიმოაღნიშნული არ გვაძლევს ერთ ადგილზე გაჩერების უფლებას. უფრო ბევრის გაკეთება შეგვიძლია“.

საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ დელეგატებს და მოწვეულ სტუმრებს სპითპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე მიესალმა. მან საზოგადოებას გააცნო სპითპ-ის ინიციატივით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებში განხორციელებული ცვლილებები, რამაც გააუმჯობესა საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მაია კობახიძემ კონფერენციის დელეგატებს განუმარტა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დადებული დარგობრივი შეთანხმების მნიშვნელობა. სპითპ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „პრობლემად რჩება საჯარო სკოლის პედაგოგთა, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასები. სპითპ-ის ინიციატივით შეტანილი ცვლილებები საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებში, რამაც რადიკალურად გააუმჯობესა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები. მიუხედავად ჩვენი



აქტიური ქმედებებისა, პრობლემად რჩება საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომის ანაზღაურების საკითხი. სპითპ-ის წინადადება - „საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდის საფუძველზე, საჯარო სკოლის მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 3-5 წელიწადში გაუთანაბრდეს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს და პარალელურად გაერცვლდეს პედაგოგთა სტატუსის შესაბამისი დანამატები“, პრაქტიკულად მისაღებია ხელისუფლებისა და განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორისათვის. აღნიშნული საკითხი მიმდინარე წელს გახდება ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტი.“

კონფერენცია დისკუსიის ფორმატში წარიმართა. გამომსვლელებმა დადებითად შეაფასეს სპითპ-ის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალია ქალაქის მერ გონა კურდღელისა შეხვედრენ. მათ ურთიერთთანამშრომლობის მაგალითებზე ისაუბრეს. ქალაქის მერის განცხადებით, ფოთის მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს პროფესიული კავშირების საქმიანობას. სტუმრებმა ამ თანადგომისთვის ქალაქის მერს მადლობა გადაუხადეს.

კონფერენციის დასასრულს, სპითპ-

ის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ მადლობის სიტყვები სამ კატეგორიად გადაანაწილა:

1. პროფკავშირულ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის, 5 პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე დააჯილდოვა.
2. მომავალი თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის 3 პედაგოგი და ასევე ბავშვების აღმზრდელთა მადლობის სიტყვებით დაჯილდოვდნენ.
3. ეფექტური სოციალური პარტნიორობისათვის, მადლობის სიტყვებით დაჯილდოვდნენ სკოლის დირექტორები და საბავშვო ბავშვების გაერთიანების უფროსი.

დღის ბოლოს, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე, ვიცე პრეზიდენტი ნათია კორძაძე და ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალია ქალაქის მერ გონა კურდღელისა შეხვედრენ. მათ ურთიერთთანამშრომლობის მაგალითებზე ისაუბრეს. ქალაქის მერის განცხადებით, ფოთის მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს პროფესიული კავშირების საქმიანობას. სტუმრებმა ამ თანადგომისთვის ქალაქის მერს მადლობა გადაუხადეს.

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“, ახსნადას კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით „ნარკმატეზული ქალი 2018.“

ქვირფასო ფოთლაგო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გაქვით შენაქვალგოა თემად აირჩიოთ ნარკმატეზული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვანოდოთ

ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში ნარკმატეზული საქმეებით გამოირჩევიან.

ჩველთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვანოდოთ რელაქსიანი, ან ღაბვირკაით, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: mtavaritsamegrelshi@gmail.com

ნარკმატეზული კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სავსილური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება ნარკმატეზული ქალი.

ამჟამად გთავაზობთ კონკურსანბ ქალბატონს თემად ფარულიანს

თემად ფარულიან: „მე ეს არჩევიანი გავაკეთე და გაამართლა,“

თქვალ მატკაავა ფოთი

1972 წელს ფოთში დაიბადა. 1996 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დამთავრების შემდეგ, 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 2001 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მუშაობდა ფოთის ტელევიზიაში, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის ფილოლოგია-ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი, ლექტორი გახლდათ. კონკურსის წესით შერჩეული სსიპ-ფოთის მრავალდარგოვანი კოლეჯის დირექტორი და თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტის ფოთის ფილიალის ხელმძღვანელი იყო. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო იურიდიულ-ეკონომიკური პროფილისა და გაძლიერებული უცხო ენების სწავლების სკოლა-გიმნაზია „იპსიქელის“ დირექტორად და პედაგოგადაც მუშაობდა. ამჟამად შპს „თამარ ფანჯილიას“ საავტორო სკოლა-გიმნაზიის“ დამფუძნებელი და დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია, მან წარმატებით გადალახა მასწავლებელთა სკემის ფარგლებში გარე დაკვირვება და სექტემბერში მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი: „რამდენადაც ვიცი, ფოთში გარე დაკვირვება არავის გაუვლია. სამეგრელო-ზემო სვანეთის მასშტაბით სულ 18 პედაგოგი იყო დარეგისტრირებული, მათ შორის ფოთიდან გახლდათ მე. ეს არის წლებადელი დიდი წარმატება ჩემთვის და ქალაქისთვისაც. მაქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ვარ ერთი მონოგრაფიის ავტორი. მიღებული მაქვს უამრავი მადლობის ფურცელი და სიკეთე, სერტიფიკატებზე რომ არაფერი ვთქვა“- სიამაყით აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა თამარმა, როცა მასთან, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ ქალბატონთან სასაუბროდ მივედით: -წარმატებისკენ მიმავალი ნაბიჯები -რისი გაკეთებაც გინდა, აუცილებლად უნდა განახორციელო. სხვა გზა არ უნდა არსებობდეს. მინდოდა მესწავლა, განათლება მიმეღო და ამისათვის

ვღებდი გარკვეულ ნაბიჯებს. შემდეგ ეს ნაბიჯები გაიზარდა, ბევრი წინააღმდეგობაც შემხვდა, მაგრამ ჩემი სტრატეგია ამართლებდა. ენთუზიასტი, იდეური უნდა იყო პირველი ნაბიჯების გადადგმისას. ეს გაახლოვებს წარმატებასთან. -თქვენი წარმატების რეცეპტი? -რჩევა წმინდა მამებისგან ასეთია: „ყოველთვის იყავი ისეთი, როგორც სინამდვილეში ხარ. ნუ ითვალთმაცქვებ, მხოლოდ წრფელი დამოკიდებულებით თუ მიადწევ წარმატებას ყველა საქმეში“. ამდენად, ყველგან და მუდამ უნდა იყო ის, რაც ხარ ნამდვილად. თუ გიყვარს შრომა, იშრომე, იშრომე და კვლავ იშრომე. ეს აუცილებლად მიგიყვანს წარმატებასთან. სხვა რეცეპტი არ ვიცი. - სახელმძღვანელო დევიზი, პირად თუ კარიერულ ცხოვრებაში -ზომიერება და არა რადიკალურობა, საკუთარი თავის შეგრძნების უნარი და მისი მოკრძალებულად წარმოჩენა. ჩემი პირადი კონსტიტუცია მაქვს შემუშავებული: 1. მატყუარობა პატივისცემას არ იმსახურებს! 2. შრომით შეიძლება წარმატების მიღწევა! 3. დავეხმარო სხვებს, როგორც შემიძლია! 4. პირნათლად შევასრულო დანაპირები! 5. არ ვაგაქცევ პრობლემებს! ეს არის ჩემი სტანდარტი, რომელსაც ვემორჩილები, რომლითაც ვხელმძღვანელობ, როგორც პირად, ასევე კარიერულ ცხოვრებაში. - მოგიწიათ თუ არა არჩევანის გაკეთება ოჯახსა და კარიერას შორის. -ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, შეიძლება ითქვას, ფიზიოლოგიურად მოუმწიფებელიც, როცა ოჯახი შეექმენი. გამოუცდლობის ფაქტორიც მოქმედებდა, თუმცა მიზანი თავიდანვე განსაზღვრული მქონდა: მხოლოდ დაოჯახებით ჩემი ცხოვრება ვერ შემოიფარგლებოდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ახალ ოჯახში არ მქონდა მხარდაჭერა ჩემი მიზნის მისაღწევად, ამიტომ ამ საკითხში აღმოვჩნდი შეუვალი და, რასაკვირველია, არჩევიანი გავაკეთე განვითარებისკენ, წინსვლისკენ, წარმატებისკენ. განა ეს ცუდია? მით უმეტეს, როცა ამის პოტენციალი მქონდა. დღეს ბევრი ფასადური ოჯახია, სადაც ერთმანეთის არ ესმით და არ ვითარდებიან. ვფიქრობ, ყველა ნორმალური ადამიანის სწრაფვა და სურვილი უნდა იყოს განათლება, თვითგანვითარებაზე ზრუნვა. მე სწორედ ასეთი არჩევიანი გავაკეთე და გაამართლა კიდევ.



- გზა რომელიც დღემდე გაიარეთ -რთული გზაა. რამდენი ვითარება? 15 წლის ასაკში დაოჯახება, 16 წლის ასაკში დედობა, პარალელურად სწავლა, დამის თევა, უსამართლობა, უამრავ სიტუაციასა და ადამიანთან შეჯახება, მართალი და თავისუფალი ადამიანების პოვნა და მათთან გვერდით დგომა. ძაღლების პოვნა საკუთარ თავში, დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელება, ბევრი გამოცდა (პროფესიული და ცხოვრებისეული), სიმწვანეების გადალახვა, შური, მტრობა, სიავე, გულისტკენა, ამას დაემატა დიდი იმედისა და ნუგეშის მოძებნა ადამიანის - დედის გარდაცვალება, ოჯახზე ზრუნვა, სწავლის დაწყებიდან დღემდე უწყვეტი განათლების რეჟიმში ყოფნა, ამას მოწმობს უამრავი ტრენინგი, კონფერენცია და თვითგანვითარებისათვის გადადგმული თითოეული ნაბიჯი. -მუდამ თქვენი თანმხლები ისტორია -პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართვა, რის გამოც პრობლემები მომემატა. იმის განცდა, რომ თურმე პოლიტიკაში ფული, კაპიტალი დომინირებს. სამწუხაროდ, ფული კარნახობს პოლიტიკას. დღეს ფულიანი ხალხი ცდილობს პოლიტიკოსები ამოშონ თავიანთ ფულზე. ბევრის ხიდზე გასვლა - ეს იყო ისტორია. ასევე ეწ. „გიდროს“ შენობის პერმანენტული ნგრევა. ის არის ჩვენი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა და თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა, ვუპატრონოთ და ვიზრუნოთ მასზე. ის არ უნდა გაიყიდოს და ქალაქმა უნდა უზრუნველყოს მისი მშენებლობა, არ შეიძლება მისი გაყიდვა, როგორც კულტურულად საუბრობენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მე დღემდე მის დირექტორად ვითვლები. ესეც თანმდევი ისტორიაა.

- დღემდე განუხორციელებელი ოცნება - საკმაოდ ბანალური და ამავე დროს გულის ამჩუყებლად ადამიანურია - ჩემს გვერდით არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ჩემს ყველა დარდსა და სიხარულს გაიზიარებს. - სად ხედავთ თქვენს თავს წლებში შემდეგ? -გაანხია რამდენი წლის შემდეგ. მაგალითად, საპენსიო ასაკში? ამდენი შრომის შემდეგ დავისვენებდი (იღიმება). მგონი, არ უნდა იყოს ცუდი. პირიქით, სასიამოვნოც იქნება, მაგრამ ზუსტად მაინც ვერ გეტყვით, არ შემიძლია ამის თქმა. ვფიქრობ, სადაც საჭირო იქნება ჩემი ყოფნა, იქ უნდა ვიყო, რატომ უნდა ვთქვა უარი, აბა, მითხაროთ? ვისთვისაც და რისთვისაც ვიქნები აუცილებელი, იქ ვიქნები. ისე, ბევრ რამეზე არ მიფიქრია და ისე გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში. ამდენად, წინასწარ რა ვითხარათ, წინასწარ მეტყველი არ ვარ, რომ გამოვიცნო ჩემი თავი წლების შემდეგ? -საყვარელი საქმე -მიღწეულით არ ვკმაყოფილდები, თვითკმაყოფილება ცუდი რამაა. არ მაქვს უფლება, უყურადღებო ვიყო. პავლე მოციქული ბრძანებს: „ყველაფერი სიყვარულით იწყება“. მართლაც, ყველა საქმეს დიდი სიყვარული ჭირდება. ეს საშუალებას გაძლევს, დაწყებული საქმე კარგად დაასრულო. საყ-

ვარელი საქმეა ის, რასაც დღეს ვაკეთებ, თუმცა, ახალი წამოწყებებიც მაქვს ჩაფიქრებული. თუ შენი საქმე არ გიყვარს, დღენი-ადაგ შემოქმედებითად არ ეძიებ, არ იხსრიკები და არ პოულობ პასუხებს მოულოდნელად გაჩენილ კითხვებზე, საყვარელ საქმეს ვერ შესწვდები. თუ არ არის დიდი გარტაცება, თავგადაკლული ძიება, ნებისმიერი საქმიანობისგან მოსაწყვერ ყოველდღიურობას მიიღებ. ასე რომ, საყვარელი საქმე ჩემთვის დიდი ნუგეში და საღებურია. იგი ისეთ იმპულსებს მაძლევს, როგორსაც არანაირი სხვა წამალი ამ ქვეყანაზე. -რჩევა ქალებს -რა ვითარებაც უნდა შეიქმნას, უკეთესი თუ უარესი, უამრავ მოულოდნელობას ყველა ქალი ღირსეულად უნდა შეხედეს, რადგან არავინ იცის, რას უფრო ბევრი სიცოცხლე შეუქირავს - დიდ სიხარულს თუ დიდ ტკივილს. ზოგჯერ ტკივილიც აუცილებელი ფენომენია, რომელიც ბუნებაში ისეთ რაღაცას წარმოაჩენს და გაჩვენებს, რომლის შესახებაც მხოლოდ უზენაესმა იცის. დიდი გლოვა გამოიხატება არა იმაში, როგორ ტირი, არამედ - რამდენად გულწრფელია ცრემლები. ქალი დიდ ჭაპანს ეწევა, აჭმევს, აცმევს ოჯახის წევრებს (სმირად ქმარსაც), ამიტომ მათ უნდა იბრძოლონ საკუთარ უფლებათა გასაფართოებლად. მათი მიზანი უნდა იყოს ცხოვრე-

კონკურსი „ნარკმატეზული ქალი,“

კონკურსანტის სახელი და გვარი

ჩვენი მისამართი: ფოთი, 26 მაისის 7

განათლების ეროვნული ცენტრის საგანგაშო მარკენაბელი

ფოთის დღეები-2018“ ფაზისობის სინდრომითა და ელფერიით

თქალ მატკაია ფოთი

საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებმა, რომელიც განათლების ეროვნულმა ცენტრმა გააერცვლა, აჩვენა, რომ ქართველ ბავშვებს, წიგნიერების კუთხით, საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები მონაწილეობდნენ. საქართველომ მეორედ მიიღო მასში მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის 174 სკოლის დაახლოებით 4800-მდე მოსწავლე შეფასდა. კვლევა ჩატარდა რამდენიმე მიმართულებით. კვლევით 9-10 წლის ასაკის მე-4 კლასელების კითხვის უნარები და ის ფაქტორები შეფასდა, რომლებიც მოსწავლის წიგნიერებაზე ახდენს გავლენას. მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი 488 მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს. წიგნიერებაში მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით, პირველ ადგილზე ჰონკონგი 571 ქულით, შემდეგ რუსეთი - 568. იგივე მაჩვენებელი აქვს ფინეთს. კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წელთან შედარებით, წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17 ქულით გაუმჯობესდა.

თანამედროვე მშობელთა უმრავლესობა ჩივის, რომ წიგნის კითხვას კომპიუტერთან გართობა, თამაში, ან ტელევიზორის ყურება ურჩევნიათ მათ შვილებს. ხშირია საყვედურები, რომ წიგნებს არ კითხულობენ. თუმცა, რეალურად საქმე სხვაგვარად გახლავთ. ამ დროს მშობლის როლი და პასუხისმგებლობა განმსაზღვრელია, მათ სხვადასხვა აქტიუობებით უნდა დააკავშირონ ბავშვი და წიგნი. ხშირია შემთხვევა, რომ ბავშვებს არჩევანის წინაშე აყენებენ - წიგნი თუ კომპიუტერი, რაც არასწორია, რადგან კომპიუტერი ის აუცილებელი, საჭირო კომპონენტია ადამიანის, მოზარდის ცხოვრებაში, რომელიც საჭირო დროს უნდა გამოიყენოს განათლების მისაღებად. წიგნის კითხვა განვითარებს ლექსიკას და წარმოსახვით უნარებს, ფანტაზიას, რაც უმნიშვნელოვანესია ბავშვის განვითარებისთვის. როდესაც კითხულობ ტექსტს, არ აქვს მნიშვნელობა, რა შინაარსისაა, უნდა შეგეძლოს გააცოცხლო მასში წარმომხდელი ფერები, სახეები, პერსონაჟები, რასაც კომპიუტერთან მუშაობის, ურთიერთობის დროს ვერ ახდენ. ამიტომ ბავშვი წიგნიერებას დამოუკიდებლად ვერ მიეჩვენება, გადაამწყვეტი რილი მშობელს ენიჭება. წიგნიერება სოციალური ფუნქციონირება, რომელიც ქმნის ჯაჭვს ამ შემთხვევაში მშობელსა და შვილს შორის. რაც უფრო დიდი კავშირი, სიყვარული, დამოკიდებულებაა წიგნის მიმართ მშობლის მხრიდან, მით უფრო მეტი კავშირი გადადის შვილზეც. ამის შემდეგ მეტად წიგნიერი ხდება ბავშვიც. დღეს წიგნებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია, რაც განპირობებულია წიგნების მაღალხარისხის დიდი არჩევანით, სადაც უამრავი საინტერესო, ლამაზი ილუსტრაციით წიგნების შექმნა შეიძლება. ეს ბავშვისთვის მიმზიდველად გამოიყურება, თუმცა, მეორეს მხრივ, კიბერნეტიკული შემოტევა, ტელევიზია, კომპიუტერი, ინტერნეტი და მარტივი გადაწყვეტილება მშობლის მხრიდან, რაც უმეტეს შემთხვევაში კომპიუტერის არჩევით სრულდება. ამდენად, უფუნქციოდ რჩება წიგნები, რომელიც კონკრეტულად საბავშვოდ არის განკუთვნილი. გამოსავალი რაში მდგომარეობს? დაწყებითი კლასის პედაგოგმა ქეთევან აფაქიძემ როგორც გვითხრა: „წიგნის სისტემატიური კითხვა აუცილებელია. ბიბლიოთეკის როლი უნდა გაძლიერდეს, მე ჩემი ბავშვები მიმყავს ბიბლიოთეკაში, სადაც მათ გავაწვრიანებ, წამოიღებენ წიგნებს და თავიდანვე ეხვევიან ამ საინტერესო პროცესს. მიხდა, ამ იდეის ირგვლივ გავაერთიანო ყველა. მარტო სკოლის საათები არ ყოფნის ბავშვებს კითხვის შესასწავლად, აუცილებელია სახლში მისულმაც ხშირად იკითხოს წიგნები. მშობლები აუცილებლად უნდა ჩაერთონ შვილების სწავლების პროცესში. თუ თითოეული ტექსტი მინიმუმ ათჯერ არ წაიკითხა ბავშვმა, ვერ ისწავლიან კითხვას. დამატებით საკითხავს ყოველთვის ვაძლევ ჩემს მოსწავლეებს გოგებაშვილის “საგანძურთან”. ასევე, ძალიან კარგად ვიყენებ

ჯიპრაიდის წიგნებს. ფოთში რამდენიმე სკოლა ჩართო ჯიპრაიდის პროგრამაში და ჩვენი სკოლაც ჩართულია, გასულ წელს ზუგდიდიდან და ბათუმიდან დაგვეწერო ჯიპრაიდის დირექცია, რომელიც კურსებს ამ პროექტს. ჯიპრაიდის პატარა წიგნებს პარასკევობით ვაძლევ საკითხავად ჩემს მოსწავლეებს, ასევე ვიყენებ ჯიპრაიდის დიდ წიგნებს კვირაში ერთხელ გუნდური კითხვისას. ჩემს მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ჯიპრაიდის ფერადი წიგნები, უფრო ეხალისებათ და მოსწონთ მუშაობა. გაბმული კარგი კითხვა თუ იცის დაწყებით კლასში მოსწავლემ, შემდეგ უკვე აღარ უჭირს. როდესაც მოსწავლე ვერ კითხულობს გამართულად, ის ორიენტირებულია გონება დაძაბული აქვს მხოლოდ ასო-ბგერების ამოსაკითხად და შინაარსის გამოტანა ამიტომ უჭირთ. ყოველთვის ვამბობ - უმთავრესია სწორი და კარგი კითხვა, რასაც ხელს უწყობს წიგნების ხშირი კითხვა“.

საინტერესოა, რას ფიქრობენ მშობლები. მეც მშობელი ვარ და როგორც მშობელი, ვემხრობი იდეას და მოსახრებას, რომ ბავშვმა ჩვილობიდან დაიწყო ურთიერთობა ასო-ბგერებთან, წიგნთან, რათა შემდეგ გაუღვივდეს სიყვარული წიგნის მიმართ. მით უმეტეს, რომ თანამედროვეობაში გამარტივებულია საგანმანათლებლო სისტემა - კომპიუტერი, ინტერნეტი და დიდი მონსტრი „გუგლი“ არსებობს, სადაც ნებისმიერ დროს შევა ბავშვი, მოსწავლე და მოიძიებს ნებისმიერ მისთვის საინტერესო თემას.

ნინო ნიკოლენკო - „ჩემი შვილი პირველ კლასშია და უკვე გამართულად კითხულობს, რასაც ხშირი კითხვით მივაღწიეთ. თამაში და გარეთ გასვლა დაავიწყდა ჩემს შვილს, სულ ვეძებდინებო და გვაქვს კარგი შედეგებიც“.

გვანცა გვასალია - „მეც პირველ კლასში მყავს შვილი, მას მარცვლის ადგება გაუჭირდა. ბევრი მუშაობა დაგვჭირდა, კითხვას ვუთმობდით მეცადინეობის უმეტეს ნაწილს. მეძინოდა, კარგად ვერ ისწავლიდა, ამიტომ ბევრს ვმუშაობდით, კითხულობდით“.

ხშირია მოსაზრება, რომ ბავშვმა ადრეულ ასაკში უნდა ისწავლოს წერა-კითხვა, რაც მისი წიგნიერების განმსაზღვრელია. რამდენად სწორია მსგავსი შეხედულება? დაწყებითი კლასის მოსწავლეებზე როგორც ამბობს, წიგნიერება მხოლოდ წერა-კითხვის სწავლას არ ნიშნავს. ეს არის დამოკიდებულება წიგნის მიმართ, ბავშვის მეტყველების განვითარება, ფონოლოგიის განვითარება. ხშირია საუბრები, რომ ბავშვი უფრო ადვილად გაეკეთილხერება ჩერდება საგანგაშო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ასობგერებს სცნობს, ფონოლოგიური უნარები არ აქვს განვითარებული, სიტყვაში ბგერებს ვერ არჩევს, ასეთ ბავშვს გაუჭირდება კითხვის სწავლა. ყველა ერთხმად თანხმდება, რომ საწყისი ბავშვის განვითარების არის ადრეული ასაკი, რომელიც მშობლის ჩართულობით და აქტიურობით უნდა იყოს განპირობებული. ინტერესის გაღვივებაზე საუბრობს ფოთის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი გივი ხომერიკი: „დაწყებითი კლასებიდან უნდა გაძლიერდეს კითხვის ინტერესი. ჩვენ ავიღეთ ამისკენ ორიენტირი და ჩავერთეთ ჯიპრაიდის დაწყებითი განათლების პროგრამაში, რაც მიზნად ისახავს სწავლებას თამაშით. მთავარი კი არის ინტერესის გაღვივება. თვითონვე დაგამზადებინოთ ბავშვს ის წიგნი, რომელსაც მევე თავადვე წაიკითხავს, რაც ერთ-ერთი აქტიუობა გახლავთ ამ პროგრამისა. არსებობს დიდი წიგნი, სადაც თამაშით კრავს ასოებს. ეს პროექტი ამართლებს და ამას მივაღწიეთ ჩვენ. მთავარია, საწყის საფეხურზე მოხდეს მეთოდოლოგიის სწორად შემუშავება, რომ მოსწავლეს გაუძლიერდეს სურვილი კითხვის“.

მთლიანობაში ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი როლი მშობლებთან ურთიერთობას, ოჯახთან მეტ კავშირს აქვს. მეტად რომ მოხდეს ბავშვის წიგნიერების განვითარება, მეტი დრო უნდა დაუთმონ მშობლებმა შვილებთან ურთიერთობას.

„ფაზისობა როგორც ასეთი“, ამ სათაურით გამოქვეყნდა ჩემი სტატია გაზეთში „მთავარი თემა საქართველოში“ 2017 წლის სექტემბრის №24-ში. ვინც ის პუბლიკაცია წაიკითხა დამეთანხმება, რომ „ფოთის დღეები 2018“ სათაურშეცვლილი იგივე „ფაზისობაა“. მისმა ორგანიზატორებმა, ახალი და მით უმეტეს არაჩვეულებრივი, „ჯერარნახული“ მას ვერაფერი შემატეს. ამიტომ ის თვითკმაყოფილება და თავმოწონება, რომელიც მერიის თანამშრომლებმა გამოხატეს, გაკვირვებას იწვევს. გაკვირვებას იწვევს იმიტომაც, რომ ორგანიზაციულად მისი ჩატარება ძნელი სულაც არ არის. „ჩასაფრებულები“, როგორც მერიის დიდ-მოსხლე გვაუწყებს ვინ იყო ან ჩასასაფრებელი რა იყო „ფოთის დღეების“ აღნიშვნისას, ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ მოქილიკები თუ გამოჩნდნენ ეს საეხები შესაძლებელია. ქილიკი აზრის გამოხატვის ფორმაა. გაჩენილი უკმარისობის გრძნობის გამო. თუ ვინმე გუშინდელ „ფაზისობას“ და დღევანდელ „ფოთის დღეების“ მომზადებისა და ჩატარების შემდეგ მათ შორის მსგავსება დაინახა და არ მოეწონა, რატომ იწვევს ეს „ფოთის დღეების“ „ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის“ უკმაყოფილებას? ხომ არ წარმოუდგენია რომ საზოგადოება მხოლოდ მაამებლების, მლიქვნელების, ფარისევლებისა და პათეტიკით „დამუხტული“ ქარაფშუტებისაგან შედგება? საეხებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ არის, რომ XXI საუკუნეში, 2013 წლიდან მოყოლებული ფოთის ყველა მერის დღის წესრიგში „მემკვიდრეობით“ „საქალაქო დღესასწაულის“ მოწყობას უადრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, სხვა საზრუნავი კი არ უნდვიათ. საზრუნავს ფოთში რა გამოიღვეს, მაგრამ როგორც პრაქტიკა მოწმობს, როდესაც ხელმძღვანელი ძირითად ფუნქციას ვერ ასრულებს, აკეთებს იმას, რაც ადვილია. სწორედ ამ ტიპის ხელმძღვანელები დაებუდა ქ. ფოთს 2005 წლის შემდგომ პერიოდში და როგორც დასაბუთდა არ უნდა იყოს ჩემთვის, ამჟამინდელიც წინამორბედთა ნაკვალევს შედგომია. ახლა კი ორიოდ სიტყვა „ხალხის“ გასართობად „ხეიმების გამოდგომილებითა“ და „დღის“ თარიღების მქებნელთა გასაგონად:

1. საქართველოში დაწესებულია ერთი საერო დღესასწაული ეროვნული დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. ხელისუფლება (მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლებაც), ვალდებულია იგი აღნიშნოს ფართოდ, მრავალფეროვნად, ყოველმხრივ სახეიმი ვითარებაში, სპეციალურად ამ დღისთვის შედგენილი გეგმის მიხედვით. და არა ისე უფერულად და უდიდამოდ, როგორც უკანასკნელ წლებში, როდესაც „ფაზისობა“ და ეროვნული დამოუკიდებლობის დღე ერთნაირი სცენარით აღინიშნებოდა. ეს კი დაუშვებელია. არ შეიძლება მთავარ დღესასწაულთან მნიშვნელობით და აღნიშვნის მასშტაბურობით სხვა, ფოთური წარმოშობის „დღესასწაული“ გატოლება. მითუმეტეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ არის ვალდებული ადგილობრივი მნიშვნელობის დღესასწაული დააწესოს.

2. „ქალაქის დღის“ აღნიშვნის ფორმატი ისე უნდა განისაზღვროს როგორც ეს მიღებულია იქ, სადაც ამის ტრადიცია არსებობს. თანამედროვე ქალაქი ფოთი საპორტო ქალაქად 1858 წლის 18 ნოემბერს გამოცხადდა. ეს თარიღი არის ქალაქის დაბადების ათვლის წერტილი და იგი 18 ნოემბერს უნდა აღინიშნოდეს. არ უნდა ხდებოდეს მისი გადატანა-გადმოტანა (ვალკეული მედროვე ფუნქციონერის შეხედულები სამებრ. ეს რომ არ მოხდეს უნდა დაწესდეს, რომ ყოველი წლის 18 ნოემბერს ქალაქის თვითმმართველობა ანგარიშს აბარებდეს გაწეული მუშაობის თაობაზე ამ შემთხვევისათვის ქალაქის თეატრში შეკრებილი საზოგადოებას. ეს იქნება პატივისცემა ამომრჩეველებისადმი, რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდება (და არა მარტო ფოთში). 23 ნოემბერი გიორგობაა. უპირაინა ამ პერიოდში 18-დან 23 ნოემბრამდე ტარდებოდა ქალაქის დღეები, რომლის პროგრამა წინასწარ უნდა შემუშავდეს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აზრისა და წინადადებათა გათვალისწინებით. აქ წერტილის დასმასაც ვაპირებდი, მაგრამ პირველი მაისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ პუბლიკაციას გადავეყარე სათაურით: „ფაზისობის დაუეწიარო დღე“... ავტორი შთაბეჭდილებებსაც გვიხიარვს, ორგანიზატორსაც წარმოუვიდგენს და შრომასაც უქებს „უკვე დაეტყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებასო“. ფოთის ოფიციალური იტყობინება, რომ ფოთში, „ფოთის დღეები - 2018“ ჩატარდა და არა სხვა რამ. პო, და გაიგე ახლა ვისი რა დაეტყო რას. მე, კი ის აზრი განმიმტკიცდა, რაც სათაურით გამოხატე. გულწრფელად. ქილიკის გარეშე.



ირაკლი მოწერელია
04.05.2018 წ.

როგორ ამოვიცნოთ ნაყურა-ყურია თუ არა თათვი?

თაფლი-ეს არის გასაოცარი პროდუქტი მეფუტკრეობიდან, რომელიც უამრავი სასარგებლო თვისებებით არის აღჭურვილი, გამოიყენება მრავალი დაავადების პრევენციისა და მკურნალობისთვის. ერთი კოვზი დღეში საკმარისი იმისათვის, რომ მიიღოთ მაქსიმალური სარგებელი ამ პროდუქტისგან. მაგრამ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პირობა - თაფლი უნდა იყოს ნატურალური და კარგი ხარისხის.



საუკეთესო მეთოდია შევიძინოთ უკვე გამოცდილი დადასტურებული მეფუტკრეებისგან, რომელსაც ენდობთ. თუმცა, ყველას არ აქვს ამის შესაძლებლობა. მაგრამ ამის გამო ნუ გაწბილდებით, რადგან არსებობს რამდენიმე ხრიკი, რომლითაც გამოიყვანოთ არაკეთილსინდისიერებაში გამაშვარავებთ.

1) ფასი-თუ ძალიან დაბალია, ეს უკვე დასაფიქრებელია, მეფუტკრემ, რომელმაც ამდენი ენერჯია და დრო შეაღწია თაფლის წარმოებას, გროშებში ყიდის? არა მგონია. სავარაუდოდ, ეს პროდუქტი უხარისხია. უმჯობესია თაფლზე ფუფუნე ნუ დაინანებთ.

2) ჭურჭელი-გახსოვდეთ, თაფლი ვერ ინახება პლასტმასის კონტეინერში დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ის იწყებს ჭურჭლის გამოჭმას და ხდება ტოქსიკური. აქედან გამომდინარე, უმჯობესია თაფლის ყიდვა მინის ან თიხის ჭურჭელით.

3) კონსისტენცია-მნიშვნელოვანია საკითხია როდესაც ყიდულობთ თაფლს. თხევად კონსისტენციას მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაში ინარჩუნებს, შემდეგ სქელდება. თუ თაფლი ზამთარში იყიდვ, მაშინ თხევადი კონსისტენცია დასაქვებელია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჯიში შეიძლება თხელი დარჩეს, ეს დასაზუსტებელია.

4) ფერი-თაფლი არ უნდა იყოს ძალიან ღია ან ძალიან მუქი. თუ არსებობს ჭარბად თეთრი ფერი, ეს ნიშნავს, რომ თაფლი შაქრის სიროფითაა გაზავებული, თუ ძალიან მუქი ფერისა და კარამელის არომატი დასდევს, ეს ნიშნავს რომ პროდუქტი გაცხელებული და გადაძინარია.

5) გემო-რა თქმა უნდა გაქვთ თქვენ უფლება, მოითხოვოთ შესაძენი პროდუქტის დაგემოვნება. ნამდვილი თაფლი ოდნავ ყველს ჩაგწავთ და პირში გადნება. ყალბს კარამელის გემო დაკრავს და თან პირში შეიძლება წვრილწვრილი ნაწილაკებიც შეიგრძნოთ.

6) თაფლის თვისება-როგორ გავარჩიოთ ყალბია თუ არა თაფლი? არსებობს მარტივი მეთოდი: დაიდეთ ხელის გულზე წვეთი თაფლი და ხელი ამოატრიალეთ, ნამდვილი თაფლი არასდროს არ ჩამოიღვენთება, ის ხელზე წვეთის სახით დაგაკვიდებათ, შემდეგ თითოთ კანზე გაშალეთ, იგი შეიწოვს, როგორც მალამოს, თუ წებოვანი კვალა დატოვავს, ესე იგი თაფლში შაქარია გარეული.

7) კიდევ ერთი მეთოდი-თაფლის ყიდვის დროს ჭურჭელი ამოატრიალეთ თავდაყირა, ამ დროს ცარიელი სივრცე უნდა დაიყოს ორ ბუშტუკად: ერთი დიდი და ერთი მცირე.



გაზეთის ხელმოწერა
საქურაღლებო!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50 ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მედიკალინა

გაზეთი „მთავარი თემა
სამეგრელოში“ სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ალაშიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შედეგ მისამართზე: **ფოთი ნ.მ. ნინოს ქუჩა 3/19**
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა
სამეგრელოში“ სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამონდობა ქურნალისტიკაში წარმატებული სტაჟირობები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: **ფოთი ნ.მ. ნინოს ქუჩა 3/19**
ტელ: 599 34 14 17

იხარებოდით გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ უფასო მონაწილეობით, განათავსოთ გაზეთში განცხადებები, რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამეგრელოში განცხადებები, მილოცვა - ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სპეციალური შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციის ფასი, სურათიანი განცხადებები: სამეგრელოში - 15 ლარი, მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სმ2) - 150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2) - 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. - 130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოში - სამჯერ ძვირია ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორგანიზაციის მკვიდრად რეკლამებზე და ხელმოწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამომცემის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამომცემის ოფისს. ქ. ფოთი, ნ.მ. ნინოს ქ. 3/2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17.

მედიკალინა თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.